ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №1427091

ნომერი: AR1239699

თარიღი : 24.07.2014

გაცემის თარიღი : 12.08.2014

გაცნობის თარიღი : 12.08.2014

შედეგი : უარყოფა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა გუდიაშვილი , N 2 , (ყოფ. კეცხოველის ქ. N8) ;

დამკვეთი-განმცხადებელი
- დავით ჩხეტიანი პ/ნ 01015000529
- თბილისი კრძანისის 16 კორპ 8

ორგანიზაცია:
- შპს ლიზინგი ოცდამეერთე კოდი: 204929532

ნომენკლატურა :

- ოფისი
- III კლასი
- დემონტაჟი
- მშენებლობის ნებართვა

.დამკვეთის ინფორმაცია.:

- .ორგანიზაცია (არესბობის შემთხვევაში).: შპს" ლიზინგი XXI"
- .საიდენტიფიკაციო კოდი.: 204929532
- .დამკვეთ(ებ)ის სახელი და გვარი.: დავით ჩხეტიანი
- .დამკვეთ(ებ)ის პირადი ნომერი.: 01015000529

.სადემონტაჟო ობიექტის ტექნიკურ ეკონომიკური მაჩვენებლები.:

- .მიწის ნაკვეთის ფართობი (კვ.მ).: 1129.0
- .საერთო ფართობი (კვ.მ).: 2797.14
- .სამშენებლო მოცულობა (კუბ.მ).: 7308.27
- .0.00 ნიშნულის ზევით (კუბ.მ).: 3177.51
- .0.00 ნიშნულის ქვევით (კუბ.მ).: 4130.76
- .შენობა-ნაგებობის კონსტრუქციული სიმაღლე (მ).: 6.9
- .0.00 ნიშნულის ზევით (მ).: 3.0
- .0.00 ნიშნულის ქვევით (მ).: 3.9

კულტურული მემკვიდრეობის შესახებ საქართველოს კანონის 41–ე მუხლის პირველი და მეორე პუნქტების მოთხოვნათა დაცვით და საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროსა და საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნულ სააგენტოს შორის 2014 წლის 8 აპრილს გაფორმებული N01 ადმინისტრაციული ხელშეკრულების პირველი მუხლის პირველი პუნქტის "დ" ქვეპუნქტის თანახმად,, ქ. თბილისში, გუდიაშვილის ქ. N2–ში, არსებული შენობის დემონტაჟის პროექტი გადაგზავნილ იქნა საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნულ სააგენტოში და განხილულ იქნა კულტურული მემკვიდრეობის საბჭოს "კულტურული მემკვიდრეობის დამცავი ზონების სექციის" მიერ, რომლის გადაწყვეტილების საფუძველზეც საკითხი განმეორებით უნდა იქნეს წარმოდგენილი "წარმოსადგენია სამომავლოდ ასაშენებელი ობიექტის ესკიზური პროექტი ". (საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს 2014 წლის 07 აგვისტოს დ/13/12/35 წერილი). სამსახურმა გაითვალისწინა საბჭოს გადაწყვეტილება და მიზანშეწონილად მიიჩნია, რომ განმცხადებელს, მოქ. დავით ჩხეტიანს უარი უნდა ეთქვას თხოვნის დაკმაყოფილებაზე.

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "კულტურული მემკვიდრეობის შესახებ" საქართველოს კანონის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის #4-13 გადაწყვეტილების თანახმად

ვბრძანებ

1. უარი ეთქვას მოქ. დავით ჩხეტიანს ქ. თბილისში, გუდიაშვილის ქ. N2–ში, არსებული შენობის დემონტაჟის პროექტის წარმოდგენილი ვარიანტის შეთანხმების თაობაზე.

• გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მერიაში (მისამართი - ქალაქი თბილისი, ჟ. შარტავას ქ. #7), დაინტერესებულ მხარეთათვის ოფიციალური წესით გაცნობიდან ან გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში.